ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4310945

ნომერი: AR1642261

თარიღი : 06.11.2018

გაცემის თარიღი : 10.01.2019

გაცნობის თარიღი : 11.01.2019

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი რუსთაველი , N 16;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თეა გუნია პ/ნ 01023002100
- საქართველო, ქალაქი თბილისი, შალვა ნუცუბიძის ფერდობი, მიკრო/რაიონი II, კორპუსი 1, ბინა 42

ნომენკლატურა :

- მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები (ექსტერიერისა და ინტერიერის სარესტავრაციო, სარემონტო და გაწმენდის სამუშაოები)
- II კლასი
- შეთანხმებული პროექტის ცვლილება
- ესკიზის წინასწარი შეთანხმება

,,კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, „კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოებისნებართვის გაცემასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 მარტის N137 დადგენილების, ,,საქართველოსკულტურისა და ძეგლთა დაცვისსამინისტროსგან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის უფლებამოსილების დელეგირების თაობაზე'' ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისსაკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის N91 განკარგულებით დამტკიცებულიადმინისტრაციული ხელშეკრულების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისადა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპროტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისმერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს დებულების დამტკიცების

შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 აპრილის N9-34 დადგენილების თანახმად ქ. თბილისში, შოთა რუსთაველის გამზ. N16-ში (ძეგლი) მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების (სარეკლამო აბრის მოწყობა) ესკიზის წინასწარი შეთანხმების საკითხი განიხილა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისადა ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისმერიაში შექმნილმა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭომ (ოქმი N50; 13.12.2018წ.), რომლის გადაწყვეტილების საფუძველზეც აღნიშნულ საკითხს ეთქვა უარი. სამსახურმა გაითვალისწინა საბჭოს რეკომენდაცია და მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ განმცხადებელს, მოქალაქე თ. გუნიას უარიუნდა ეთქვას მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად.

ვბრძანებ

უარი ეთქვას ქ. თბილისში, შოთა რუსთაველის გამზ. N16-ში (ძეგლი) მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების (სარეკლამო აბრის მოწყობა) ესკიზის წინასწარი შეთანხმების საკითხს. რეკომენდაცია: შემცირდეს აბრის ზომა. შეიცვალოს დიზაინი. სასურველია მოეწყოს ლითონის სტრუქტურის, მცირე ზომის დაკიდული აბრა.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.